

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

<p>პროგრამის სახელწოდება საფეხური აკადემიური ხარისხი სამინისტროს მიერ მინიჭებული კოდი სწავლის ხანგრძლივობა პროგრამის ხელმძღვანელები</p>	<p><b>ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე</b></p> <p>მაგისტრატურა</p> <p>ფილოლოგიის მაგისტრი ტიპოლოგიურ ლინგვისტიკასა და მთარგმნელობით საქმეში</p> <p>071</p> <p>ორი აკადემიური წელი (120 კრედიტი)</p> <p><b>პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი;</b> <b>პროფესორი მანანა ღარიბაშვილი.</b></p>
<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია, მაგისტრანტს მისცეს საფუძვლიანი განათლება ქართულ და ინგლისურ ფილოლოგიაში მათი დეტალური ანალიზისა და შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის საფუძველზე;</p> <p>ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული სხვადასხვა ტიპის სამეტყველო ტექსტთა თარგმნის სპეციფიკის დაუფლება;</p> <p>იმ უნარ-ჩვევების შეძენა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას; პიროვნების აკადემიურ და პროფესიულ ზრდას და შემდგომ მის აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში;</p> <p>ენათმეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესწავლასა და გამოყენებას სამეცნიერო კვლევებში, სპეციალობის შესაბამის სფეროსა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.</p>
<p>პროგრამის შედეგი</p>	<p>მაგისტრი შეძლებს ქართული და ინგლისური ენების ლინგვისტურ საფუძვლებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეთავსებას;</p> <p>კვლევისათვის საჭირო რესურსების მოძიებას, შერჩევასა და გამოყენებას;</p> <p>მთარგმნელობითი საქმიანობისას პროფესიული ლექსიკისა და ლინგვისტური ნორმების დაცვით ტექსტთა კვალიფიციურად (C1 დონე) თარგმნასა და კორექტირებას;</p> <p>კომუნიკაციის ხერხებისა და სტრატეგიების ადეკვატურ შერჩევასა და გუნდურ მუშაობას.</p>
<p>სწავლების ფორმატი</p>	<p>ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, პროფესიული პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურები, სადაც კი მთარგმნელობითი საქმის მცოდნისა და პროფესიონალური განათლების მქონე ფილოლოგის საჭიროებაა: მთარგმნელობითი და ტურისტული ბიუროები, ადმინისტრაციული ან საოფისე სამსახურები, მასმედია, საწავლო და კვლევითი დაწესებულებები და სხვა.</p>
<p>თანამშრომლობა / პარტნიორები</p>	<p>ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-- ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა და თარგმნის პრაგმატიკა</p>